განცხადება

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ღია კონკურსს, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საქმიანობის კოორდინაციის საკითხებში მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით შემდეგი პირობებით:

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა 18 წლის ასაკს მიღწეულ, საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური პოზიციისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

2. კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით, მისამართზე: www.hr.gov.ge.

3. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

4. კანდიდატს შეუძლია განცხადებაში შეიტანოს ცვლილება განცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

5. საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა). საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კანდიდატი კონკურსის მე-2 ეტაპზე არ დაიშვება.

6. კონკურსი ჩატარდება 3 ეტაპად:
ა) I ეტაპი მოიცავს კონკურსში მონაწილეობისთვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას;
ბ) II ეტაპი მოიცავს კანდიდატის შეფასებას (ზეპირი დავალების მიცემით და გასაუბრების წესით);
გ) III ეტაპი წარმოადგენს კონკურსის შედეგების გამოცხადებას.

7. კონკურსის გასაუბრების ეტაპზე გამოცხადებისას მონაწილემ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა).

8. კანდიდატს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.khobi.ge).

9. ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.khobi.ge, საინფორმაციო ბლოკი: „ვაკანსია“/„2017 წელი“/„აგვისტო“).

10. საკონტაქტო ინფორმაცია: ელექტრონული ფოსტა: hr@khobi.ge
ტელეფონი: 599856064 (სალომე ცხადაია)

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა